სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

21/08/2026

N 150

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „საქართველოს რეგიონებში ქართული კინოს პოპულარიზაციისა და კინოჩვენებების ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის №05/20 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტის, ,,კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 აპრილის №53 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების საფუძველზე და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პროგრამების დირექტორის 2026 წლის 19 აგვისტოს №1-469 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2026 წლის 31 აგვისტოს, გამოცხადდეს კონკურსი „საქართველოს რეგიონებში ქართული კინოს პოპულარიზაციისა და კინოჩვენებების ხელშეწყობა“ და დამტკიცდეს საკონკურსო დებულება ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. წინამდებარე კონკურსის კურატორად განისაზღვროს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პროგრამების დირექტორი.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი